წყლის რესურსი, როგორც სახელმწიფოთა ეკონომიკური ძალაუფლების გაძლიერების გეოეკონომიკური ინსტრუმენტი

ოთარ ტუკვაძე
ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ქუთაისი, საქართველო, tukvadze.otari@gmail.com

ანა გუჩუა
ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ქუთაისი, საქართველო, ana.guchua@gmail.com

საკვანძო სიტყვები: *წყლის რესურსი; გეოეკონომიკა; კონფლიქტი; ეკონომიკური ძალაუფლება; გეოეკონომიკური ინსტრუმენტი*

J.E.L. classification: Q25, E6 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2021.22.09

რეზიუმე

მსოფლიოს მასშტაბით წყლის რესურსების გამოყენებით გამოწვეული კონკურენცია იზრდება და იწვევს უამრავ კონფლიქტს ქვეყნებსა თუ რეგიონებს შორის. მიუხედავად ამისა, ნაკლებად ფასდება ჰიდროპოლიტიკის საკითხები და მათი შედეგები ტრანსსასაზღვრო და რეგიონულ კონფლიქტებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის განაწილებაზე. ამ მიმართულებით კონფლიქტების ძირითადი მიზეზები წარმოდგენილია წყლის რესურსების სიმცირის ჭრილში. თუმცა, წყლის დეფიციტი სულაც არ იწვევს ტრანსსასაზღვრო წყლის კონფლიქტებს. ამის ნაცვლად, ძირითადი მიზეზი შეიძლება იყოს ისეთი გეოეკონომიკური ფაქტორი როგორიცაა ძალაუფლების ასიმეტრია. სტატია წარმოგვიდგენს წყლის რესურს როგორც გეოეკონომიკის ელემენტს და ინსტრუმენტს ქვეყნების ძალაუფლების გაძლიერების კონტექტში და აღწერს წყლის კონფლიქტისა და თანამშრომლობის ბუნებას. სტატიაში ასევე განხილულია თუ როგორ შეიძლება მოგვარდეს წყლის კონფლიქტები და წარმოდგენილია სამომავლო მიმართულებები, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნას ტრანსსასაზღვრო წყლის კონფლიქტების მოსაგვარებლად.

ციტირებისათვის: Tukvadze O., Guchua A., (2021) Water resources as a geo-economic tool for strengthening the economic power of states. Economic Profile, №2(22), pp. 89–97. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2021.22.09